ოქმი N3

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 25 თებერვალი 2022 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. მედეა თათარიშვილი
2. გოჩა ქაჯაია
3. გიორგი გვასალია
4. გივი ლატარია
5. აკაკი ხურცილავა
6. მზია ლემონჯარია
7. მაკა ჩარტია
8. ია ჯიშკარინაი
9. ლელა ადანაია
10. ზურაბი შამათავა

სხდომას თავმჯდომარეობდა მედეა თათარიშვილი - კომისიის თავმჯდომარე

სხდომა ჩატარდა საკრებულოს ინფრასტრუქტურის და სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების კომისიასთან ერთად

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხობი-საქართველოსთვის" თავმჯდომარის მ. იოსავას 2022 წლის 21 თებერვლის N51-51220524 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 21 თებერვლის N50-502205122 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10 , წინააღმდეგი - არც ერთი.
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხობი-საქართველოსთვის" თავმჯდომარის მ. იოსავას 2022 წლის 21 თებერვლის N51-51220524 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხობი-საქართველოსთვის" თავმჯდომარის მიერ მომზადებული დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის შესახებ". ამასთან განმარტა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 22 მარტს მიღებულ იქნა „ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის შესახებ" დადგენილება N5, რომელიც იდენტურია წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან. რაც შეეხება 2019 წლის 22 მარტის N5 დადგენილებას საკრებულოს მიერ ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი შენიშვნების საფუძველზე. სამართლებრივ შენიშვნაში მითითებული იყო, რომ მიღებული აქტი სრულად შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს და არ განსაზღვრავს სახელდებასთან დაკავშირებით დამატებით წესებს, რის გამოც მიზანშეწონილად ჩაითვალა მიღებული აქტის გაუქმება. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგაჩნია წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეგზავნოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტს სამართლებრივი კონსულტაციისთვის.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: **10** ; წინააღმდეგი: **არც ერთი**

დაადგინეს: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხობი-საქართველოსთვის" თავმჯდომარის მიერ მომზადებული დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის შესახებ" სამართლებრივი კონსულტაციისთვის გადაეგზავნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტს

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი საკითხების ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10, წინააღმდეგი - არც ერთი.

დადგინდეს: წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე მედეა თათარიშვილი